საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

23/03/2026 N 66

თბილისი

შპს „მალთივერს“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404598663) საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციის გაუქმებისა და მისი ლიკვიდაციის პროცესის დაწყების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 48^2 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, 46-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და 48^1 მუხლის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №77/04 ბრძანებით დამტკიცებული „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 5 ივნისის №144/04 ბრძანებით დამტკიცებული „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის წესის'' პირველი მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 13 თებერვლის №36/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუუქმდეს შპს „მალთივერს"-ს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაცია (სარეგისტრაციო ნომერი: 0090 - 2904).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „მალთივერს“-ის საგადახდო მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2020 წლის 6 ნოემბრის №382 განკარგულება.

3. დაიწყოს შპს „მალთივერს"-ის ლიკვიდაციის პროცესი და მისი ლიკვიდაცია განხორციელდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. შპს „მალთივერს"-ის ლიკვიდატორად დაინიშნოს როინ ცაციაშვილი (პირადი ნომერი: 01036002403).

5. ეს განკარგულება გამოცემიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდსა (www.nbg.gov.ge) და სსიპ - საქართველოს

საკანონმდებლო მაცნეზე (www.matsne.gov.ge). ასევე, ეს განკარგულება გაეგზავნოს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს და ადგილობრივი საგადახდო სისტემის ოპერატორ(ებ)ს, თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი წარმოადგენდა ამ საგადახდო სისტემის მონაწილეს.

6. ამ განკარგულების ძალაში შესვლისთანავე საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ხელმძღვანელ პირებს და ორგანოებს უწყდებათ უფლებამოსილება. ლიკვიდატორს ეკისრება საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ხელმძღვანელი პირებისა და ყველა ორგანოს ყველა უფლებამოსილება. ლიკვიდაციის პროცესში მყოფ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ლიკვიდატორი.

7. ამ განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ნინო ჯელაძე

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი